



# ანუმანი

მწყემსმან კეთილმან სული  
თვისი დაჭსდვის ცხოვართათვის  
ითან. 10—11.

№ 12

1883—1908 წ.

30 იქნის

შ ი ნ ა ა რ ს ი.

**სალიტერატურო განცოლის განცოლება:** შესაძლოა თუ არა ყველა ხალხის გათანასწორება.—ჩვენ აბლები არა ვართ, მღვდლის ითან. ლუკიანოვისა.—რენანის აზრი სახარების შესახებ.—ტფ გუბერნიის თავად.აზნაურთა კრება.—ეურნალ-გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.

**სრავლა და გეცნიერება რჩისტიანობის სარწმუნოებასა და კეთილ-ჯეორგიზმი:**—წიგნი ლევიტელთა.—რედაქტორისაგან.—განცხადება.

## შესაძლოა თუ არა ზევლა ხალხის გათანასწორება?

(თარგმანი.)

ავისუფლება, თანასწორობა და ძმობა—აი ის კერპი, რომლის წინაც მუხლს იყრის „ახალი ხალხი“ და რომელსაც გუნდრუკს უკმერვს! მაგრამ რა უნდათ თანასწორობის მქადაგებელთ? რაღა თქმა უნდა, ისინი არ კმაყოფილდებიან იმ თანასწორობას, რომელიც მოგვიტანა ქვეყნად ქრისტე მაცხოვარმა. იმათ სხვა რაღაც უნდათ. იმათ სურთს, რომ მოსპონ ყოველივე განსხვავება უფროსებსა და მათ ხელ-ქვეით მყოფთა შორის, ყოველივე განსხვავება წოდებათა შორის, და აგრეთვე ყოველივე უაღრესობა, მინიჭებული ჩამომავლობით ან მდგომარეობით.

გიკითხოთ რაზე ამყარებენ თავიანთ ოცნებას ასეთ თანასწორობაზე? საფუძვლად ხალხის სრულიად გათანასწორებისა ზოგს ის მიაჩნია, რომ ღმერთმა გააჩინა ყველა ადამიანი თანასწორად; სხვები იმას სთვლიან, რომ ყველა კაცის ბუნება ერთნაირია; ხოლო მესამეებს მიაჩნიათ ის გარემოება, რომ პრივილეგია ერთი პირისა აზრა-ლებს ბევრს სხვას.

ყველა ეს და ამის მსგავსი საფუძველი არის შემცდარი დასკვნა, და თავის-თავად არც-კი ღირებულებად, მაგრამ რადგანაც იმის გამოცხადებას შეუძლიან მოუტანოს ზარალი საზოგადოებრივ კეთილ-წესიერებას და უქადის ზიანს არსებულ საზოგადო წყობილებას, ამისთვის საჭაროა ამ საფუძვლების ჯეროვანი აწონ-დაწონვა იმათ გასაფრთხილებლად, ვისაც ადვილად იზიდავს ყოველნაირი ახალ-მოღური სწავლა.

1) დეკრეტის გადახინა ჩვენ უველავი თანასწორად. ეს არის პირველი საფუძველი თავისუფლების და თანასწორობის მომხრეებისა, რომელიც კარგად რომ გავსინჯოთ სიმართლეს მოკლებულია. თუ მივიღებთ მხედველობაში ბუნებითი თანასწორობას, მაშინ რა თქმა უნდა, ყველა ხალხი თანასწორია, რადგანაც ყველას აქვს სული და ზორცი. მაგრა თუ თქვენ ამაზე ლაპარაკით გინდათ მოსპოთ თვითეული ადამიანის პირადი განსაკუთრებულება და განსხვავებული თვისებანი და ვითარება,—მაშინ ეს დიდი უსამართლობა იქნება.

ხალხი სრულებითაც არ არის თანასწორო ერთი-ერთმანეთში ბუნებიდან მიღებულის ნიჭიერებით: ზოგს, მაგალითად, აქვს კარგი, მტკიცებელიანი; სხვებს, პირიქით, სუსტი და არა სწორი; ერთში ჩვენა ვხედავთ გამჭრიას და ცოცხალ გონებას, მეორეში-კი — ჩლუნგს და ქარცის სახლის მწფებელთა და მართვის სამართლობა.

ზოგი რა საქმესაც-კი მოჰკიდებს ხელს, მომარჯვე-ბით ასრულებს; ზოგს-კი ძალიან ნაკლებად თუ შეუძლიან ისიც მხოლოდ რომელიმე საქმის გაკე-თება; ზოგი არის უფრო ფხიჩელი და მხიარული, ზოგიც ზარმაცი და დაღვრემილი; ზოგი არის პატიოსანი და გულ-კეთილი ხესიათისა, ზოგი-კი, პირიქით,— მდაბალი და უსირცხვილოა.\* ) ამნაირათ მართალი არ არის ის, რომ ბუნებით ყველა ხალ-ხი თანასწორია.

ხალხის ამნაირი განსხვავებიდგან ბუნებისგან მიცემულის ნიჭიერებით სჩანს, რომ ყველას არ შეუძლიან ერთი და იმავე საქმის გაკეთება; არ შეუძლიან ერთნაირის სიბეჭითით მისწრაფება ერთი და იმავე მიზნისადმი; არ შეუძლიან ერთ-ნაირი სარგებლობის მოტანა თავიანთი მოქმედე-ბით. თვითონეულს შეუძლიან იმოქმედოს მხოლოდ თავის ნიჭის და ძალის მიხედვით, იხელმძღვანე-ლოს კერძოდ თავის ჭკუით და მოსაზრებით,

ესეც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ კაცის შეუძლიან თავისუფლად მოხმარება თავის ძალებისა: იმას შეუძლიან თავის საკუთარის ნებით კარგადაც მოიქცეს დი ცუდათაც, ზეჯითად ან დაუდევრად; შეუძლიან მთელი თავისი ძალლონე შეალიოს რომელიმე საქმეს, ან გაატაროს დრო სრულიად ზარმაცობაში,— და ამნაირი განსხვაცება კერძო პირებისა ძალიან შორს წავა. გარდა ამისა, კაცის შეუძლიან მოიხმაროს იმისი ძალ-ლოე ამნაი-რად, ხოლო სხვა დროს, სხვ-ნირათ..

ბოლოს, არ უნდა დავივიწყოთ ისიც. რომ ადამიანი დედამიწაზე სცხოვრობს არა წმინდა ბუ-ნებით, პირევლ-ყოფილ მდგომარეობაში. ამ ქვეყ-ნად არის განსაკუთრებითი გაყოფა ნიჭიერებისა; ღმერთი თავის მიუწოდელის განგებით ზოგს თავის ქმნილებას აძლევს ნაკლებ ნიჭიერებას, ზოგს-კი— მომეტებულს, რაზედაც მოწმობს თვით სიტყვა ლოთისა. ამნაირი განსხვავებისაგან ბუნებრივი ძალე-ბასა და ნიჭიერებისა ნამდვილად წარმოსდგება სხვა და სხვაობა უფლებათა, რაიცა უნდათ მოსპონ ხალხის საზოგადოებში თანასწორობის მიმდევართ.   
\*) ამ განსხვავების მიზებს მშვენიერად ხსნის საღმრთო ჭრილი, მაგრამ საღმრთო ჭრილი ზოგიერთებს არა სწამთ და თავის საბრალო ტვინით ებლაუჭება ისეთ საგნებს, რომ-ლისაც არა გაეგება-რა, როგორც მაგლითად ივანე გომარ-თელი.

რედ.

ამ საგნის უფრო კარგად გასაგებად მიემარ-თოთ მაგალითებს. კაცი, რომელიც დაჩუქრებულია ბუნებისაგან სწავლა-განათლების ნიჭიერებით, ან საზოგადო საქმეების მართვა-გამგეობის ნიჭიერებით, ან უბრალოდ ვთქვათ, კაცმა თავის მეცადინეობით მიიღო დიდი ცოდნა და გამოცდილება,— ნუ თუ იგი მაღლა არა დგას იმაზე, რომელიც ყველა ამას მოკლებულია? თუ რომ თქვენ არ აძლევთ უცო-ლინარ კაცს ექიმობას, კანონის-მდებლობას; არ აძლევთ უვიცს პროფესორობას, მასწავლებლობას, — მაშინ ამითი თქვენ ამტკიცებთ, რომ ყველა ეს თანამდებობანი ყოველთვის უნდა მიეცეს იმათ, ვინც ბუნებისაგან დაჩუქრებულია განსაკუთრებუ-ლი ნიჭიერებით, ვინც გაანვითარა ეს ნიჭიერება სწავლით ან თვით-მოქმედევით. ჩვენ არ ვინდა ვთქვათ, რომ გონებას ამ შემთხვევაში ჰქონდეს უბირატესი და განსაკუთრებული მნიშვნელობა; ჩვენ ვაჰეშმარიტებთ მხოლოდ იმას, რომ ვისაც აქვს ნიჭიერება, იგი თითქოს წინათვე ინიშნება ბუნებითვე აღრე თუ გვიან მიიღოს ის თანამდე-ბობა, რომელიც შეეფერება მისს ნიჭს. მაშასალამე, თუ ბუნება ასაჩუქრებს ხალხს სხვა და სხვა ნიჭი-ერებით, ადვილი გასაგებია, რომ უნდა იყვეს გან-სხვავება უფლებაში იმ პირთა, რომელთაც აქვს ჭკუა და ნიჭიერება.

არ შეიძლება გაუშვათ მხედველობიდგან ის გარემოებაც, თუ როგორ ხმარობს ადამიანი ბუ-ნებისაგან მიცემულს ნიჭიერებას. ეს ახალი წყა-როა ხალხის უსწორობისა ერთმანეთში. ჩვენ ხში-რათ ვხედავთ, რომ იმ დროს, როცა ერნი გულს-მოდგინედ შრომობენ, სხვები უზრუნველად ხარ-ჯავენ ძვირფას დროს, და სარგებლობენ ცხოვ-რების სიამოვნებებით. ვხედავთ, რომ ერთნი სცდი-ლობენ შეასრულონ ცხოვრების თანამდებობა, მტკიცედ სდგანან სჯულზე და მცნებებზე, სხვები იფლობიან გარყვნილობის მორევში; ერთნი ავი-თარებენ და აუმჯობესებენ თავის ბუნებით ნიჭს, სხვები, პირიქით, ამახინჯებენ და სპობენ. ამისთა-ნა განსხვავებიდან უნდა გამომდინარებდეს სხვა და სხვა უფლებანი. პატიოსანი ხელობანი, რომე-ლიც მთლიად გართულია თავის მუშაობაში; მიწის-მხვნელი, ოფლში გაწურული დილიდან საღამოშ-დის მძიმე მუშაობით,— ამისთანა პირთ განა სამარ-თლიანად მეტი არ უნდა ჰქონდეს, მინამ მუქთა-

ხორას, რომალიც მთელ დღეებს „ტრაქტირებში“ აღამებს? კეთილ-სინიდისიერი და მიუდგომელი მსაჯული, ნასწავლი, რომელნიც მომეტებულ ნანაწილს თავის სიცოცხლისას სხვას სწირავენ,— განა სამართლიანად მეტად არ უნდა იყვნენ პატივ-ცემულნი, მინამ ისეთი კაცები, რომელთაც თავის სიცოცხლეს სიზარმაცეში და ცუდაობაში და წვრიმალ, დაბალ სიამოვნებებში ატარებენ? ყველასათვის ცხადია, რომ თუმცა ხალხი თანასწორადა გაჩენილი, მაგრამ იმავე დროს ბუნებამ დააჯილდოვა აღამიანები სხვა და ხეანაირი ნიჭიერებით; და რადგანაც ეს ნიჭიერებანი ერთნაირად არ იხმარებიან, მაშასადამე, აქედგან უნდა წარმოსდგეს უსწორობა და სხვა და სხვაობა ხალხის უფლებების შესახებ.

რა ნაირი არსებითი შედეგი შეიძლება გამოვიყვანოთ ხალხის ბუნებითის თანასწორობისაგან? ცხადია ის, რომ ბუნებითი თანასწორობა ხალხისა შეიძლება იქამდის, მანამ კერძო პირები, არ გამოიყოფიან ნიჭიერებით, და არ შეიძენენ თავის განსაკუთრებით უფლებებს და მიისწრაფვიდეს იმათ მისაღწევად. ხოლო ვინც კანონიერად და სამართლიანად მიიღო ეს უფლებები, ისინი პატივისცემის ღირსნი არიან. იმ აზრიდან, რომ ხალხი ბუნებით თანასწორია არ შეიძლება ის დასკრა გამოვიყვანოთ, რომ ერთს არ ჰქონდეს უპირატესობა მეორეზედ, ვინც პატიოსანის გზით და კანონიერად შეიძინა სიმდიდრე, იმას თავისუფლად შეუძლიან დახარჯოს და მოიხმაროს ეს სიმდიდრე. თუ ერთმა სამართლიანად დაიმსახურა, მეორესთან შედარებით, მომეტებული წარჩინება, იმას შეუძლიან კანონიერად ისარგებლოს ამით.

2) სამართლიანია თუ არა, რომ უკეთა საჭირო უნდა იყვას კანონის წინაშე თანასწორი? რა თქმა უნდა, რომ მსაჯული თანასწორად უნდა პატივ-ცემდეს ყველა აღამიანის უფლებას; ასე რომ თუ დავა და ცილობა აქვს ერთმანეთში გლეხსა და თავადს, ნასწავლა და უსწავლელს, კერძო პირსა და თანამდებობის კაცს,— ამას არ უნდა მიაქციოს უურადღება და საქმე უნდა გადასწყვიტოს უსათუოდ მართლის სასარგებლოდ. თუ საქმე მიღის დანაშაულობისათვის დასჯის შესახებ, ან შესახებ იმისა, რომ დამნაშავეს წაერთვას შეძლება რომ სხვას ზარალი არ მისცეს,— მაშინ, რასაკვირ-

ველია, უურალება არ უნდა მიექციოს: აქვს იმ კაცს ტიტულები თუ არა, ან რამე უპირატესობა, მდიდარია ის, თუ ღარიბი. ამის შესახებ სრულიად სამართლიანია თანასწორობა ყველა ხალხისა კანონის წინაშე. გარნა, თუ სამართლიანობა მოითხოვს, რომ მსაჯული მიუდგომლად ასამართლებდეს განურჩევლიდ ყველა აღამიანის საქციელს, აგრეთვე სამართლიანობა სრულებითაც არ უშლის რომელისამე წოდების ხალხს იქონიოს საკუთარი სასამართლო, გარდა საერთო სასამართლოსი. ამასთან სამართლიანობა არ უშლის სხვა და სხვა პირებს მიესაჯოს სხვა და სხვანაირი სასჯელი. ბევრ შემთხვევაში ამას კიდეც თხოულობს თვით ბუნება. რაში მდგომარეობს არსებითი თანამდებობა მსაჯულისა?— იმაში. რომ უზრუნველ ჰყოს სრული ხელ-შეუხლებლობა კანონისა. ამისათვის-კი სულ პირველად საჭიროა საფუძვლიანად შესწავლა თვით კანონისა ყველა მხრივ. ცნობილია, რომ არსებობს ბევრი სხვა და სხვა გვარი კანონი, და თვითეული მათგანი მოითხოვს საკუთარს შესწავლას და განსაკუთრებითი დახელოვნებას; ეს-კი არ ექნება მოსამართლეს, რომელსაც აქვს მიღებული მხოლოდ საერთო იურიდიული განათლება. მართლაც და, განა შეიძლება მოვითხოვოთ, რომ თვითეულმა მოსამართლე საფუძვლიანად იცოდეს ყოველივე ის, რაც მავნებელია ან სასარგებლოა საზოგადოებისათვის შესახებ ვაჭრობისა, ხელოვნებისა, ომიანობისა, სამკურნალო სწავლისა და სხვა. ყველა ამისთან საქმეში და გარემონტებაში სამართლიანობა მიუდგომელის განაჩენისა არის დამკიდებული მომეტებულს შემთხვევაში სწორე წარმოლგენაზე სარგებლობისა და ზარალისა. განა შეიძლება გამტყუნება კანონის-მდებლისა, რომელმაც საერთო სასამართლების გარდა, დაარსა საკუთარი სასამართლოები, მაგალითად, სასულიერო, სამხედრო? განა არ არის ეს არსებით საჭიროება და სამართლიანობა? როდესაც დამნაშავეს სასჯელს უნიშნავენ, მაშინაც აგრეთვე უსამართლობაა და უადგილოა თანასწორობა, რომელსაც ასე დაუინდებით თხოულობენ ბევრი, რომ არც ერთი წოდების დამნაშავე პირი არ უნდა დარჩეს უსასჯელოდ, ამას ლაპარაკი არ უნდა; მაგრამ ეს რომ არა ნიშნავს იმას, რომ ყველას ერთნაირი სასჯელი დაედოს? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს დიდი უსამართლობა

იქნებოდა. თუ მოსამართლე მიუსჯის საპყრობი-  
ლეში დაპატიმრებას ისეთს კაცს, რომელიც თავის  
ჩევულებრივ ცხოვრებაშიაც შეჩვეულია საპყრობი-  
ლის გვარ ცხოვრებას, ეს იქნება იმისთვის სასჯე-  
ლი, მაგრამ არა მძიმე, მაგრამ თუ მაღალ წოდების  
კაცს მისცემთ ამ სასჯელს, ეს იქნება იმისთვის  
ძალიან სასტიკი და აუტანელი. პირველი ამათგანი  
ცოტას, ან სრულებითაც არ შეიმჩნევდა ამ სას-  
ჯელს, მეორე-კი დაიტანჯებოდა ისე სასტიკად,  
რომ შეიძლება რამოდენიმე თვის განმავლობაში  
სიცოცხლეც დაეკარგნა. ამისთვის ერთნაირი,  
სინამდგვილებზე ერთნაირი არ იქნებოდა, და ამი-  
რომ არა თანასწორი და სრულიად უსამართლო.

მაგრამ იტყვიან: თქვენ დაასახელეთ მაღალი  
წოდება; არ შეიძლება რომ თანასწორობის გულის-  
თვის არ იყვეს იგი? — ყოველთვის ყოფილა და იქნე-  
ბა კიდევ ისეთი ხარისხის ხალხი, რომელიც სდგას  
სხვაზე მაღლა. განა შეიძლება იმის წინააღმდეგ  
ადგომა, რომ კაცი კეთილად სარგებლობდეს თა-  
ვის ძალებით და მეტს იძენდეს, მინამ ის, რომელსაც  
არა აქვს ამის ნიში და არც სარგებლობს? განა  
ბუნებითი არ არის, რომ ვინც ბევრი შეაგროვა  
ქონება, მეტიც უნდა დაუტოვოს თავის შვილებს? ეს  
კანონიერი და სამართლიანი იქნება. განა ბუ-  
ნებითი არ არის, რომ ის კაცი, რომელსაც აქვს  
განსაკუთრებითი ნიჭი საზოგადოების სამსახური-  
სათვის, და თავის სამსახურს ასრულებს ერთგუ-  
ლად და მარჯვედ, განა ასეთ კაცს საზოგადოები-  
საგან ღირსეული საჩუქარი არ მოელის? თითონ  
საზოგადოების სარგებლობა და ინტერესი მოით-  
ხოვენ ამას. რაში გამოიხატება ეს საჩუქარი, თუ  
არა მომეტებულ ქონებრივ საშუალებათა მიცემაში,  
ან მომეტებულ პატივის და უფლების მიცემაში?  
საზოგადოებას არ შეუძლიან სხვანაირად დასაჩუქ-  
რება ამისთანა პირებისა. ამის შესახებ, რა თქმა  
უნდა, შეიძლება ხალხში შეცდომა და ბოროტ-  
მოქმედება მოხდეს; მაგრამ ესენი ვერ მოსპობენ  
თვით იმ საბუთის სამართლიანობას, რომელზედაც  
არიან დამყარებულნი განსაკუთრებითი უპირატე-  
სობანი.

მწ. იუსტიციის დოკუმენტი.

## ჩვენ თბლები არა ვართ.\*)

### II

X გაათავეს თავის ქვეყნიური ცხოვრება ქრის-  
ტეს მოციქულებმა და მოწაფეებმა. იმათი ადგილი  
დაიჭირეს კაცებმა, რომელთაც არ ენახათ ქრისტე  
და პირდაპირ მისი სწავლა არ გაეგონათ. მაგრამ  
ქრისტე მაცხვარი იმათთანაც ისე ახლოს იყო, როგორც  
თავის მოწაფეებთან. არც ერთი იმათ-  
განი არ იყო დავიწყებული მისგან. არც ერთი არ  
იყო დატოვებული. წაიკითხეთ თუნდაც ერთი  
ფურცელი ქრისტიანობის პირველი დროისა, რო-  
დესაც წარმართები საშინლად სდევნიდნენ ქრის-  
ტიანებს. ხალხის ბოროტებამ ალარ იცოდა, რა-  
ნაირი სიმხეცე ეხმარა ქრისტიანების მიმართ, რომ  
მთლიად გაეწყვიტნა იგინი ქვეყანაზედ, რომ მთლიად  
მოესპონ მათი სწავლა. რასაც-კი ადამიანის გონე-  
ბას შეეძლო გამოგონება, ყოველნაირი საშუალება  
იხმარა ხალხის ბოროტებამ ქრისტიანების წინა-  
აღმდეგ ბრძოლაში. ქრისტიანებს ჯვარს აცვამდნენ.  
ქრისტიანებს უყრიდნენ მშიერ მხეცებს შესაჭმე-  
ლად. ქრისტიანებს სწავლდნენ გახურებულს ცეცხ-  
ლზე. ქრისტიანებს სტანჯავდნენ აყროლებულ  
საპყრობილებში. ქრისტიანებს გადასხამდნენ  
ასანთებ ნივთიერებას, და სწვებდნენ, როგორც  
ჩირილდნების. ქრისტიანებს ჰელლურ საზოგადოება-  
და ამ ტანჯვების ერთ მოგონებაზედაც-კი თავს ზარი  
ეცემა ადამიანს. მაგრამ აბა შეხედეთ, როგორ  
იტანდნენ ამ საშინელ ტანჯვებს ქრისტიანები? ისინი მიღილდნენ ტანჯვაზე დიღის, ჩვენთვის ეხლა  
გაუგებარის, სიხარულით. სული იმათი იყო აღ-  
სებული არა ქვეყნიური მშეიღებით, პირი-სახეს  
ჰქონდა გამომეტყველება ზეციური აღფრთვანე-  
ბული. გარეგნულის სახით ისინი მომეტებულად  
ჰეგვდნენ ანგელოზებს, მინამ აღამიანებს. აი მე  
ვხედავ ამაში, როგორ მიღიან ისინი ტანჯვაზე  
აღფრთვანებულის გალობით. აი მე, თითქოს,  
მესმის, თუ როგორ თვით ტანჯვის დროს, მათი  
პირიდან ამოდის კურთხევა თვით მტანჯველების  
მიმართ, მესმის, როგორ შეამცნებენ ერთმანეთს მაგრამ  
იღვნენ ქრისტეს სახელის გულისთვის. თითქოს  
ტანჯვა არც-კი ეხებოდა მათ. არც ერთი კვნესა,  
არც ერთი ჩივილი... არხიდიაკონი ლავრენტი  
მტანჯველებმა დასდევს ძალზე გახურებულ რკინაზე.  
და როგორ მოიქცა მოწამე? როდესაც ერთი გვერ-

\*) იხ. „მწევმის“ № 11 1908 წ.

დი სულ მთლად დაიწვა ცეცხლზე და უგრძნობ-  
ლად გახდა მოწამისათვის, იმან უთხრა; „შეიწვა,  
გადამაბრუნეთ მე მეორე, საღ გვერდზე“. აბა მო-  
ვიგონოთ წმ. თეორორე მოწამე. ცეცხლი და  
კოცონი თითქოს გადაიქცნენ მოწამისათვის გამაგ-  
რილებელ წყლად, თითქოს გარდაიქცნენ საქორ-  
წინო დარბაზად, სადაც ის შეერთდა ყოვლად-წმი-  
და იქსოსთან. ცეცხლის აღზე ის — თითქოს გამა-  
გრილებელ წყალზე.

მოისმინეთ წმ. კიპრიანე როგორ ანუგეშებს  
მოწამეებს იმ ადგილიდან, სადაც ის გადაასახლეს:  
— თქვენ ფეხებს შემორტყეს რკინის რგოლები,  
თითქოს სულის დატყვევება შეიძლებოდეს. იმ  
ხალხისთვის, რომელმაც თავის თავი შესწირა  
დმერთს, ეს ბორკილი — საპატიო ნიშანია, იგი  
მართალია, ამძიმებს ფეხებს, მაგრამ მიჰყავს არა  
სირცხვილისაკენ, არამედ დიდებისაკენ, ნეტარია  
შებორკილებული ფეხები, რომელსაც გახსნის  
თვით უფალი. ნეტარია შეკრული ფეხები რომე-  
ლნიც მიეჩქარებან სამოთხეში.“

წმიდა მოწამეებს ხან და ხან ნებას აძლევდ-  
ნენ მტანჯველები გაქცეულიყვნენ. ხან და ხან მოწამე-  
ების განთვისუფლება უნდოდათ ქრისტიან-მოძმეებს.  
მაგრამ არ გაურბიან ისინი ტანჯვას. წმ. ეგნატე ღმერთ-  
შემოსილი ეხვეწება რომის ქრისტიანებს, რომ იმათ  
არავის არა სოხოვონ მისთვის შეწყალება. და ე  
ცეცხლი და ჯვარი, — ამბობს იგი, — და გარეული  
მხეცები, შუაზე გაპობა, ნაწილ-ნაწილ დაჭრა,  
მთელი სხეულის დაგლეჯა, და მთელი ბორო-  
ტება ეშმაკისა მოვიდეს ჩემზედა, — მხოლოდ კი მე  
მივაღწიო ქრისტეს. მთელი ქვეყანა და მისი სამე-  
ფოები ვერ მომიტანს მე არავითარ სარგებლობას.  
უძლობესია მე მოვკვდე ქრისტესათვის, მინამ ვმე-  
ფობდე მთელს ქვეყანაზედ. მე ვეძებ მას, ჩვენთვის  
მომკვდარს, იგი მენატრება, ჩვენთვის ალდგომილი.  
რომელ თქვენგანსაც აქვს იგი თავის გულში, ის  
გაიგებს, რასაც მე ვგრძნობ... მთავარი ამის სოფ-  
ლისა სულილობს გამაშოროს ჩემგან მიზანი ჩემის  
სიცოცხლისა, რომელიც არის მალე მისვლა  
ღმერთთან. და ნურავინ თქვენგანი ნუ მოეხმარე-  
ბა იმას! ჩემი ქვეყნიური გრძნობანი ჯვარს-ვაცი. ცეცხლი  
ღვთის სიყვარულისა ანთია ჩემში. იმის  
გაქრობა არ შეიძლება, ის სცხოვრებს ჩემში, ის  
მიძახის მე: „მოდი მამასთან.“ მე არა მაქვს მიდ-  
რეკილება ამ ქვეყნიურ სიამოვნებებისკენ.“

ქრისტიანებს, რომელნიც ჯერ კიდევ დაჭერილნი  
იყვნენ მტანჯველებისაგან, მიაჩნდათ თავისი მოძ-  
მეები, რომელნიც უკვე დაჭერილნი იყვნენ და  
იტანჯვებოდნენ, ბედნიერებად. ისინი შენატრობ-  
დნენ ამათ. მოკლულის მოწამის ადგილს მზათ იყვ-  
ნენ დამდგარიყვნენ ასი და ათასი ქრისტიანები.  
თვით პატარა ბაჟვებიც-კი, თითქოს ეჯიბრებო-  
დნენ უფროსებს, და ხან და ხან კიდევაც სჯობ-  
ნიდნენ ამათ და უფრო მხნედ იტანდნენ შეხვე-  
დრილ ტანჯვას.

ქრისტეს მიერ შედგომა იყო პირველ ქრის-  
ტიანებისათვის წმინდა სიხარულად. თვით წოდება  
„ქრისტიანისა“ მიაჩნდათ მათ საპატივოდ, უფრო  
დიდად, მინამ ყველა ქვეყნიური წოდებები. ლმრეთზედ მაღლა არავინ მიაწნდათ ქვეყნად. რო-  
დესაც მწვალებლებმა მოსთხოვეს დიაკონს ტიმო-  
თეს საღმრთო წიგნები დასაწველად. იმან მიუგო:  
„მე რომ შვილები მყოლოდა, იმათ უფრო აღვი-  
ლად მიცემდი სამსხვერპლოდ მინამ ღვ-  
თის სიტყვა უარ ვყო.“ თვით უსულო წიგნებსაც-  
კი ასე უფრთხილებოდნენ ისინი. მაშ როგორ-და  
გაუფრთხილებოდნენ ყოვლად ტკბილს და ყოვ-  
ლად ძვირფასს სახელს ქრისტესას?

წარმართები დაიღლილნენ ქრისტიანებთან ბრძო-  
ლაში. ისინი დაიღალნენ ქრისტიანების სისხლის  
დაღვრით; ველარ შეიძლეს მათთან ბრძოლა და  
დამარცხებულნი მორჩილად დაემხენენ ქრისტია-  
ნების ფერხთ წინ.

მითხარით ახლა მე, ვინ აძლევდა ქრისტიანთ  
ძალას, რომ ასე მხნედ გადაეტანათ ეს საშინელი  
და არა ჩვეულებრივი ტანჯვა-წვალება? სად ჰპოვეს  
იმათ ძალა, რომელითაც დამარცხეს ასეთი დიდი  
კოლოსი, წარმართი ქვეყანა, ასეთი დიდი ბორო-  
ტება ხალხისა?

ქრისტე აძლევდა მათ ამ ძალას. იგი ყველგან  
განუყრელად მათთან იყო. იგი ნუგეშ-სცემდა მათ  
ბნელ საპყრობილებში. იგი ნუგეშ-სცემდა მათ  
გახურებულ კოცონებზე, და მშეირ, გააფთრებულ  
მხეცებში ყოფნის დროს. იგი ამხნევებდა მათ, რო-  
დესაც იმათ ჯვარს-აცვამდენ. იგი მიაღებდა ზათ  
სულს, როდესაც ხმალი აგდებინებდა მათ თავს.  
როდესაც ისინი იტანჯვებოდნენ, იგი აღვიარებდა  
მათ არსებას იმ ზომამდე, რომ თითქოს ისინი გან-  
თვისუფლებული იყვნენ თავიანთ სხეულები.  
საგან და ამისთვის თითქოს, არც-კი გრძნობ-

დნენ ტანჯვას. იგი ალავსებდა მოწამეთა გულს სიხარულითა. იგი იყო მიზეზი იმისი, რომ ქრისტიანები სიხარულით და გალობით მიღიოდნენ საშინელ ტანჯვებზე. იგი განაგრძობდა მათ, როდესაც ისინი მიჰყავდათ სამსჯავროებზე, სადაც ისინი ნათლად უხსნიდნენ ხალხს წარმართობის მთელ სიცრუეს. და არა მხოლოდ უხილავად იგი იყო მათთან, იგი ხილულადაც გამოეცხადებოდა ხოლმე მათ. ერთი იმათგანი ამბობდა: „აი მე ვხედავ ცას გახსნილს, და ძესა კაცისასა, მდგომარესა მარჯვენით ღვთისა“... იგი გამოეცხადებოდა თვით ქრისტიანეთა მდევნელებს სიტყვებით: „რას მავენი მე“, გაანათებდა მათ სულს ზეციური სინათლით და მოაქცევდა მათ თავის გზაზე.

## III

გაიარა ქრისტიანთა დევნის დრომ. დაეცნენ ცველა მდევნელები ეკკლესიისა თავის უგნურ ბრძოლაში უძლეველთან, ერთმა ამპარტავანმა იმპერატორმა კიდევაც სთქა: „შენ მძლიე მე, გალილეველო!“ ძნელია რამდენიმე სიტყვებში გამოითქვას და აიწეროს ის უშველებელი სულიერი მუშაობა, რომელიც იმ დროიდგან ხდებოდა ქვეყნად ცველას თვალ წინ. ქრისტიანობა გახდა ცხოვრების პურის ცომად და გადაჭქმა მთელი ცხოვრება, დაწყებული მის თვით პატარა მოვლინებიდგან თვით უდიდესამდის. იღარ დარჩა ქვეყნად არც ერთი პატარა კუთხე, სადაც იმან არ შეიხვდა, არ დარჩა იღამიანის სულში არც ერთი აზრი, არც ერთი დამალული გრძნობა, რომელიც არ გაანათა იმან ახალი ზეციური სინათლით. მეცნიერება, ფილოსოფია, ხელოვნება, პოლიტიკა, ოჯახობრივი და საზოგადოებრივი დამოკიდებულება,— ყველა ეს იყო განათებული ამ ახალი სინათლით. და თითქოს რაღაც შემძლებელის უხილავის ძალის ჩვენებით, გადატყდა და დაიქცა მთლათ ძველი ცხოვრება მისის მტკიცე და რთულის წესწყობილებით, რომელიც იყო დამყარებული მრავალ საუკუნოების გარდმოცემაზე. დაიშალა სამარადისო ჭეშმარიტებანი, ძველის გონიერ კაცთა მიერ გამოთქმულნი, ჭეშმარიტებანი, რომელთაგანაც კაცობრიობას არ შეეძლო უარი ეთქვა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში.

ცხოვრების სიბინძურე გამოიცვალნენ, და დაუთმეს აღგილი სხვა ახალ ზეციურ ცხოვრებას. წილი ნანდელი ხალხი ისე გამოიცვლა, რომ აღარც-კი იცნობა. იგი გადაიქცა ნამდვილად ახალ ჭმილებად, დიდი და ამაყი მეფეები, შემძლებელი მეფის კარის-კაცები, რომელთაც არ იცოდნენ თავის ცხოვრებაში არავითარი ზრუნვა, სცვლიან თავიანთ ბრწყინვალე მდგომარეობას უბრალო მდგომარეობაზე მწყემსისა, ან მონაზონისა, კმაყოფილნი არიან თავის ცხოვრებაში ისეთი ცოტა რამეთი, რომ ზოგჯერ თვით უკანასკნელი ღარიბი იმათზე მდიდრად სჩანდა. კაცნი, დიდი მეცნიერების მქონენი, ცხოვრების დიდი გამოცდილების მქონენი, მიღიან ან მეუდაბნოებად, ან ხდებიან თავ-მდაბალ შაბაზურად ეკლესიისა, ან მქადაგებლებად ახალი მოძღვრებისა. რბილდება და უშვილესდება საზოგადოებრივი ზნე-ზეცეულებანი. შესამჩნევად იცვლება სახელმწიფოებრივი ცხოვრება. ომშიაც-კი ველარ ვხედავთ წინანდებულ სასტიკობას. ახალ მაღლიან გარემოებაში დიდ-მშვენიერად ვითარდებიან: მეცნიერება, ხელოვნება, საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივ ცხოვრება. უფრო კიდევ ღრმა ცვლილება მოახდინა ამ საიდუმლო, უხილავმა ძალამ ხალხის კერძო ცხოვრებაში, ადამიანის კერძო სულში. ახალი მაღლიანის აღზღის გავლენის ქვეშ კერძო კაცები ისეთ მაღალ და წმინდა ზნებამდის მიღიან, ისე აღრმავებენ და აგანიერებენ თავიანთ გონებას და გრძნობას, ისე საკეთილოდ სცვლიან თავიანთ ცხოვრებას, რომ ისინი გვეჩვენებიან არა უბრალო მომაკვდავ კაცებად, არამედ სრულ ანგელოზებად ქვეყანაზე. ასეც უწმოდებენ მათ ცველანი, და თვით წმ. ეკკლესიაც. ისინი ქვეყნად ისე სცხოვრობენ, როგორც ზეცაზედ. ისინი თითქოს წინ უწმრობენ დროთა ვითარებას და ქვეყნად ჩამოჰყავდათ ზეცა. ისინი შორეულ მომავალს ხედავენ. ისინი დიდ სასწაულებს სჩადიან, ისინი აუწყებენ ხალხს დიდ სწავლა-მოძღვრებას, ისინი სხინან ცხოვრების მიზანს, რაიც არ შეუძლიან აღსნა არც ერთ ქვეყნიურ ბრძენს. იმათ გარშემო იკრიფება ხალხი ათასობით. დაგლეჯილ პერანგებში ჩაკმულები, ისინი სჩნდებიან „გამამდიდრებლად“ ცველასი, მთელი ქვეყნისა...

ხალხი ათასობით მიღის მათთან მოწიწებით და აუცილებლად ასრულებს თითოეულ მათ სიტ-

ყვეს. ისინი იყვნენ სულიერნი გმირები, ქვეყნიური ანგელოზები. იმათ წინაშე ემხობიან ცოდვილი და ბოროტი ადამიანები და თავს ანებებენ თავის ბნელ წარსულ ცხოვრებას. დიდი ცოდვილები ველარ იცნობებიან იმათთან ყოფნის შემდეგ, ვისაცკი შეეხებოდა მათი ალექსიანი, წმიდა სული, ყველას უდნობდა სულიერ ყინულს. ერთი სიტყვით, ისინი იყვნენ თითქოს მისნები, რაღაც მომხიბლავები. იმათ წინ თავს იმდაბლებდნენ სასტიკი მეფეები და თავადები. იმათ სიტყვას ისმენდნენ დადი მღვდელ-მთავრები. იმთი სიტყვა იყო ხან და ხან კანონად მთელი დედამიწის ხალხისთვის. ისინი სძლევდნენ სახელმწიფოებრივ უწესობებს. ისინი ხმას უკმენდავდნენ უსჯულო ცრუ მასწავლებლებს, რომელნიც იზიდავდნენ თავის მხარეს ბეკრ ხალხს. იმათი სიკვდილის შემდეგ, მათი ცხოვრების და მოღვაწეობის ადგილზე აღმოცენდებიან დიდ-მიშვნელოვანი დაწესებულებანი, რომელნიც მოქამედობდენ მთელი საუკუნოები. იმათი სიკვდილის შემდეგ ათასობით ხალხი მოდის მათთან, თითქოს ცოცხლები იყვნენ. აი წმიდა იოანნე ოქროპირი რათ უძახის იმათ უფრო მომეტებულ შემძლებლებად, მინამ მთელი ქვეყნის მეფებს.

ქრისტიანობამ გარდაქმნა საკეთილოდ წარმართი ხალხი, რომელიც თავის ცხოვრებით დაბლი იდგა პირუტყვებზე. ჩვენ რომ შეგვეძლოს ქრისტიანების ცხოვრება დაყოთ ნაწილ-ნაწილად, დავინახავდით მათში ყველგან აღმოუშლეს კვალს ქრისტიანობისას. ძნელად მოიპოვება მთელ დედამიწის ზურგზე აღამიანი, რომლის სულშიაც არ იყვეს ესა, თუ ის კვალი ქრისტიანობისა. არ შეიძლება წარმოდგენა არც ერთი ცხოვრების მხარისა, რომელსაც არ აჩნდეს ზედ ქრისტიანობის ნიშნები. ქრისტიანობა, როგორც ჰაერი, ყველგან მოღებულია, ყოველივეს გაუჯდა და ყოველსავე აღავსებს და განაცხოვლებს. როდესაც მე წარმოვიდგენ აზრში ასეთს უზარ-მაზარ მუშაობას ქრისტიანობისას, მაშინ მე უნდღიერ წარმომიდგიბა მქანდაკებელი, რომლის მადლიანის ხელით თითქოს ცოცხლდება უსულო და უსახო ნატეხი მარმარილოსი. უფრო მომეტებულად გაცხოველდა ცოცხალი და გონიერი ქვეყანა დიდის მხატვრის და მქანდაკებლის გავლენის ქვეშ. ვინ არის ეს შესამჩნევი მხატვარი? — ქრისტეა.

და განა კიდევ საჭიროა მოყვანა დამამტკიცებელი მაგალითებისა იმისი, რომ ქრისტე მაცხოვარმა არ დასტოვა ქვეყანა, არ დასტოვა ხალხი „ობლად“, არამედ სცხოვრობს და მოქმედობს ყოველთვის ჩვენთან ერთად. ძნელია ამაზე მომეტებულად დამტკიცება. მარტო მხოლოდ ამ ნამდვილ, ცხოვრებს, დიდ ძალას შეეძლო გამოეცვალა ხალხი საკეთილოდ, როგორც მართლა იმან გამოსცვალა, მხოლოდ მარტო ქრისტეს შეეძლო მიეცა ასეთი სულიერი ძალა ხალხისთვის, როგორსაც ისინი იჩენდნენ. ქვეყანაზე ყოფნა ქრისტესი და ხალხთან ახლოს ყოფნა ჩემთვის ისე საგრძნობლად ცხადია, როგორც ჩემი საკუთარი ცხოვრება.

(ჟემფაზ იქნება).

მწ. იუსტე ლუკას

#### რეანის აზრი სახარების შესახებ.\*)

მათე და მარკოზ მახარებლების სახარებებს რენანი არა სთვლის ნამდვილად ამ მოციქულთაგან დაწერილებად. დასამტკიცებლად ამისა, იგი იმოწმებს წმ. პაპას, რომელიც იყო ეპისკოპოზი იერაპოლისა და სცხოვრებდა მეორე საუკუნის პირველს ნახევარში. ეს წმ. მამა სთხოვდა ყველა მოსწრებულ კაცებს ეამბათ მისთვის, რას ამობდნენ იესოს შესახებ მისი მოციქულები, ან მოციქულთა მოწაფეები; ის ზეპირ გადმოცემას უფრო დიდს მიშვნელობას აძლევდა, ვიდრე დაწერილს წიგნებს. რაც რამე გაუგონია წმ. პაპას ჩაუწერია, მაგრამ მისმა ნაწერებმა ჩვენამდე ვერ მოაღწიეს; ზოგიერთ მისი თხუზულებიდან ამონაწერები დაცული არიან კესარის ეპისკოპოზის ევსევის ისტორიაში;\*) აქვე დაცული პაპის თქმულება პირველ ორს სახარების შესახებ. აი რას ამობს წმ. პაპი მარკოზის სახარების შესახებ: „ხუცესმა იოანემ მაუწყა მე, რომ მარკოზი მთარგმნელი პეტრესი, ერწმუნებოდა თავისს მეხსიერებას და დასწრება უფლის სიტუაცია და საქმენი, შემდეგ პაპი განაგრძობს, რომ მარკოზმა დასწერა პეტრე მოციქულისგან გაგონილი იესოზე მოკლედ და არა წეს რიგზე, რადგანაც თვი-

\*) ევსევი კესარიელი, პირველი საეკლესიო ისტორიკასი, სცხოვრებდა მეორე საუკუნეში.

\*) იხილე „მწყემსი“ № 11 1908 წ.

თონ მას არ უგდია ყური მაცხოვრისათვის და არცა ხლებია მას,. მიღებული შექედულობით, უფლის სიტყვანი და საქმენი, რომლებიც მარკოზმა ჩასწერა, არის ეხლანდელი ჩვენი „სახარება მარკოზისაგან.“ მაგრამ რენანს ეს არა სჯერა; ის ამობს, რომ მარკოზის ნაწერს ეწოდებოდა არა „სახარება“, არამედ „უფლის სიტყვანი და საქმენი.“ საქმე იმაშია, რომ წოდება „სახარება“, არ არის პირვანდელი სათაური მოთხოვობებისა იესო ქრისტეს ცხოვრების შესახებ. სიტყვას სახარება ჰქონდა ზოგადი მნიშვნელობა; ამ სიტყვით აღინიშნებოდა იესო მაცხოვრის მოსვლა ქვეყნად, მისი სიტყვანი და საქმენი და ყოველივე ის, რასაც რაიმე დამოკიდებულება ჰქონდა მაცხოვრის პირვენებასა და მოძღვრებასთან. ოთხი მახარებლის ნაწერები შეიცავდნენ მაცხოვრის ცხოვრების საქმეთა აღწერას, ამიტომ პირველმა ქრისტიანებმა მას უწოდეს „სახარება“, ხოლო რადგანაც მთელი სახარება შესდგებოდა თოხი ნაწილისგან, რომლებიც შეიცავდნენ მაცხოვრის ამბებს, ამიტომ მათ ცალკ-ცალკედაც ეწოდა „სახარება“; ასე წარმოსდგა სახელწოდება „სახარება მათესი“, „სახარება მარკოზისა“, „სახარება ლუკასი“, „სახარება იოანესი“. თვით ევსევი კესარიელი, რომლის ისტორიიდანაც ამოდებულია ზემო მოყვანილი ცნობა მარკოზ მოციქულის სახარების შესახებ, სარგებლობს ამ სახარებით და სწერს: „აი რას ამბობს ის (პაპი) მარკოზზე, რომელმაც დასწერა სახარება“. უკვევლია, აქ ევსევი ლაპარაკობს მარკოზის სახარებაზე, რომელიც ცნობილი ყოფილა მეოთხე საუკუნეში.

მათეს სახარების შესახებ იგივე პაპი ამობს: „მათემ დასწერა მოთხოვობანი ებრაულს ენაზე; თვითოვეული განმარტებდა მათ ისე, როგორც შეეძლო“. აქ რენანი ბერძნულს სიტყვას „ირმინევსე“ სთარგმნის ფრანგული სიტყვით „ტრადიუიტ“ — „სთარგმნიდა“ და გამოდის შემდეგი: თვითოვეული „სთარგმნიდა“ მათ ისე, როგორც შეეძლო. მაგრამ ბერძნული სიტყვა „ირმინევსე“ ნიშნავს განმარტებას, ახსნას და არა გადმოთარგმნას. მართლაც ისტორია მოშმობს, რომ ბევრი ცრუ მოძღვრები გაჩნდნენ პირველს საუკუნეში, რომლებიც ბორიტად სარგებლობდნენ მათეს სახარებით და ხსნიდნენ მას თავიანთი სურვილისამებრ. (რენანიც ხშირად ნებულობს ამას). პაპი მათეს ნაწერს უწოდებს

„მოთხოვობანი“ „სიტყვანი“; ეს სახელწოდება შეფერის მათეს სახარებას, რომელშიც ბევრია მაცხოვრის ქადაგებები; მაგრამ შემდეგში ქრისტიანებმა ამ ნაწერს უწოდეს სახელი „სახარება“, რადგანაც იგი შეიცავს სასიხარულო მოთხოვობას მაცხოვრის საქმეზე. ევსევი ისტორიკოსს სრულიად არა აქვს ეჭვი მაში, რომ „სახარება მათესი“ იგივე წიგნია, რომელსაც პაპი უწოდებს „სიტყვად, მოთხოვობად“; მაგრამ რენანს ეს მოწმობა ევსევის არ მოყავს, რადგანაც მისთვის ხელსაყრელი არ არის.

პაპი ამობსო, განაგრძობს რენანი, რომ პირველსა მეორე სახარებათა შორის ის პპოვებდა ბევრს გარჩევას. ეხლანდელი მარკოზის და მათეს სახარებები კი ძალიან ჰგავანან ერთმანეთს, ასე რომ უთულდ უნდა ერთი მეორედან იყოს გადმოლებულიო; რაც აკლდა მათეს სახარებაში, რომელიც შესდგებოდა მხოლოდ მაცხოვრის მოძღვრებათაგან შეტანილია მარკოზის სახარებიდან, ხოლო ნაკლი მარკოზის სახარებისა, რომელშიც აღწერილია მხოლოდ საქმენი იესოსნი, შეესებულია მათეს სახარებიდანაო. ვინ იცის, იქნება რენანსა სურს, რომ იესოს ისტორიის აღმწერთ მოგვითხრან ერთმანეთის საწინააღმდეგო ფაქტები, რომლებს შორის კავშირი არ უნდა იყვნეს? მაგრამ მათე და მარკოზი იესოს ცხოვრების აღწერაში უნდა თანახმანი იყვნენ ერთმანეთისა, რადგანაც ორთავენი კეშმარიტებას სწერენ, თვით მოთხოვობათა ფორმაში და მათს დაწყობა დალაგებაში, გეგმაში საკმარისი გარჩევაა, რაც ცხადყოფს, რომ ისინი არ არიან ერთმანეთიდან გადმოლებულნი. პაპი ამობს, რომ მარკოზმა დასწერა იესოს სიტყვანი და საქმენია; თუ მარკოზმა სიტყვანიც დასწერა მაცხოვრისა, ე. ი. მისი ქადაგებები, მოძღვრებანი, რა საბუთი გვაქვს ჩვენ ვიფიქროთ, რომ რაც მარკოზის სახარებაში მოძღვრებები და ქადაგებები (სიტყვები) უთულდ მათეს სახარებიდანაა გადმოლებულიო? რენანის აზრი იმაზე, რომ პირველი ორი სახარება გადმოკეთებული და შევსებული იყოს ერთი მეორისაგან არ არის დამყარებული, რომელსამე ისტორიულს საბუთზე ან ფაქტზე, იგია ნაყოფი მისი მდიდარი ფანტაზიისა და ამიტომ არც არის მისაღები. კარგს არა ნებულობს და არც მეცნიერულად იქცევა რენანი, როცა უყურადღებოდ სტოვებს ქრისტიანობის პირველ საუკუნეთა მწერლებს, რომლებიც

ამოწევებენ და ამტკიცებენ ჩვენ სახარებათა სინამდვილეს. ამ მწერალთა შორის არაინ არა მარტო ეყკლესაისგან წმიდა მამებად და მოძღვრებად ცნობილი პირები, არამედ მწვალებელნიც, მაგ. მარკონი და ვალენტინე და აგრეთვე ქრისტიანობის შეურიგებელი მტრი ცელსიც.

სახარების ერთს ნაწილს რენანი უპირატესობას აძლევს მეორე ნაწილთან და იმას კი აღარ ამბობს რათ იქცევა ასე; რაც არ ეთანახმება მისს წინადვე განზრახულს აზრებს, ის იმას სთვლის მოგონილად, ტყუილად, ყალბად. მაგალითად რენანს არა სწავს, რომ იქსო არის ღმერთი, აյ ღვთისა, მესია და ამიტომ ყველა იმ ადგილებს საცა ლაპარკია იქსოს ღვთოებაზე, ყალბად სთვლის.

რენანს ნამდვილად და სრულიად სარწმუნოდ მიაჩინა ის ნაწილი მათეს სახარებისა, სადაც მოყვანილია იქსოს სიტყვები, ქადაგება, მოძღვრება; ის ნაწილი კი იმავე სახარებისა, საცა იქსოს სასწაულებზე ლაპარაკია ყალბად მიაჩინა, რადგანაც ეს სასწაულები ამტკიცებენ მაცხოვრის ღვთაებას და ეს კი რენანს არ მოსწონს. მაგრამ მალე რენანი ღალატობს თვის აზრს მათეს სახარების პირველი ნაწილის შესახებ და ამბობს, რომ იგვავებში და მოძღვრებაში, რომელიც მოყავს მათეს, მაცხოვარს ეკუთვნის მხოლოდ მოკლე და მკირე წარმონათვები, მომეტებული ნაწილი კი თვით მათე მახარებლის ნამოქმედარიაო. რომ ჰყითხოთ რენანს, რად ინგე აზრის გამოცვლაო, გიპასუხებთ: მაშინ არ იყვნენ სტენოგრაფები, რომლებსაც შეეძლოთ დაწვლილებით ჩაწერა მაცხოვრის ყველა სიტყვებისა და ქადაგებისა. მაშ, რაკი უწინ სტენოგრაფები არა ყოფილან, ჩვენ უნდა უარვყოთ მთელი ისტორია ქვეყნიერობის!!!.

სახარების სხვა და სხვა ამბავთა მოთხრობაში რენანი უპირატესობას აძლევს მარკოზ მახარობელს; მარკოზის სახარებაში უფრო ნაკლებია შემდეგ შეტანილი სხვა და სხვა გარემოებანი, რენანს უეჭვოდ სჯერა, რომ მარკოზმა იქსოზე ცნობები მიიღო თვით-მხილველ მოწამედან, რომელიც იყო ჰყებრე მოციქული, როგორც პაპიც მოწმობს. მაგრამ სულ მალე რენანი იმავე მარკოზის სახარებას „ლეგენდურ ბიოგრაფიად სთვლის“ საბუთი ამისი ის არისო, რომ მაშინ არ იყო იმისთანა „მემატიანე“, რომელსაც შეეძლო თვალყური ედევ-

ნებინა მოქმედ პირთა მოძრაობისა, გრძნობათა და ყოფაქცევისვის. ამაზე მოკლედ უპასუხებენ რენანს, რომ იქსოს ყოველთვის თან ახლდენ მოწაფენი, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ მისს ყოფაქცევასაც გრძნობასაც და მოძრაობასაც. მოციქულებზე უკეთესი „მემატიანე“ ვინაუ იქნებოდა!

უფრო ვრცლად იხილავს რენანი ლუკას სახარებას და, რასაკვირველია, მისს სინამდვილესაც უარყოფს: ამ სახარებას უფრო მეტი ექვით უცემრის, ვიდრე პირველ ორს; ისტორიული ღირსებით ლუკას სახარება, რენანის აზრით, ბევრით დაბლა სდგას პირველ ორ სახარებაზე, ლუკას სახარებაში მოთხრობა უფრო შემუშავებულია, სჩანს, რომ ავტორი მესამე სახარებისა სარგებლობდა სხვა და სხვა წყაროებით, ბევრმა ამ წყაროთავანმა ჩვენამდე ვერ მოალწია; პირველი ორი სახარებაც სცნობებია მესამე სახარების დამწერს, იგი თავისუფლად და თვისი სურვილისმებრ სარგებლობს ამ ორ პირველის სახარებით, ლებულობს იქიდამ მხოლოდ იმას, რაცა სურს. ყოველსავე ამას ბრძანებს რენანი ლუკას სახარებაზე, თუმცა ამ სახარების პირველსავე თავში სწერია, რომ ავტორმა დასწერა ის რაც უთხრეს მას იქსოს თვითმხილველთა და მსახურთა. რაკი ამგვარი დაბალი ღირსებისა ყოფილა ჩვენი მესამე სახარება ამიტომ დიდი სიურთხილით უნდა ისარგებლოს ამ სახარებით იქსოს ცხოვრების აღმწერმაო, დასძნს რენანი.

გაგრძელება იქნება.

### III. გუგად-აზნაურთა თავისაც დამდებობა.

თავად-აზნაურთა კრება დასრულდა 13 ივნისს. ამ დღეს კრებამ აირჩია განსაკუთრებული კომისია (გ. გ. მაღალაშვილი, გ. ს. რცხილაძე, ლ. ჯორჯაძე, ივ. ს. ჯაბადარი, მ. გედევანიშვილი და თვეფავლენიშვილი), რომელმაც სათ.-აზ. გიმნაზიის გამგე კომიტეტთან ერთად უნდა გამოსხებნონ სახსარი გიმნაზიის შესანახად. კომისიამვე უნდა გამოარკიოს, თავად-აზნაურთა და შეუძლებელ მოსწავლეთა დამზარებელ საზოგადოების შორის.

კრება შეუდგა სააღვილ-მამულო კომისიის მოხსენების განხილვას. მოხსენება შეეხება იმას, თუ ვის რა დახმარება გაეწია მიწების შეძენის საქმეში. კომისია ამბობს: ერთი წლის მუშაობამ და-

ამტკიცა, რომ მემამულეთა და მიწის მუშათა შორის დამოკიდებულების მოწესრიგება შეუძლებელია, თუ საქმეში არ ჩაერიცნენ თავად-აზნაურთა წარმომადგენელნი და დაწესებულებანი. უმიწაწყლო გლეხობა სრულებით მოუმზადებელია და მოუკიობელად შეიძინოს, საგლეხო ბანკის დახმარებით, მიწები კერძო მემამულეთა ან საადგილუმამულო ბანკისაგან. რესული ენის უკოდინარობა უმწეოდ ხდის მათ. უკულმართობა არ კერძო მიმით, რომ სოფლის საზოგადოებებს არა ჰყავთ შეგნებული და გულშემატკიცარი მოხელენი. ურთიერთობა მემამულეთა და გლეხთა შორის უკიდურესობამდე გამწვავდა. ამ პირობების გამო, ნათვამით შემდეგ მოხსენებაში, საადგილ-მამულო კომისია იძულებულია დახმარება გაუწიოს გლეხობას იურიდიულსა და სამეურნეო საეკონომიკ საკითხებში. კომისიამ არ ულალატა თავის მთავარ დანიშნულებასაც და, რამდენადაც სახსარი ნებას აძლევდა, იძნდა უმიწაწყლო გლეხებისათვის აღგილებს. ერთი წლის განმავლობაში კომისიის დამარებით ტფ. გუბერნიის 3899 კოშლს კაცს შეუძენია 8187 დესეტინა და 2373 ოთხ. საუენი მიწა (456,395 მანეთისა). თვით კომისიას სხვა და სხვა პირთა თუ სოფლელთათვის დახმარება აღმოაჩენია 4275 მანეთით. საადგილმამულო ფონდიუან (10,000 მან.) 1 ივნისისათვის კომისიას პერიოდი 4715 მანეთი.

კომისიის დახმარებით თავად-აზნაურობას ქვემო ჭალაში შეუძენია სამი დესიატინა ვენახი და ატენში ბალი, ტყე, სახნავი და სხვა (37 დეს.) თავად-აზნაურობას მოლაპარაკება აქვს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებასთან, რომელსაც ატენის მამული უნდა გადაეცეს სამეურნეო სასწავლებლის დასაარსებლად.

ანგარიშის წაკითხვის შემდეგ წარმოითქვა სიტყვები. დ. ე. ჩოლოყაშვილმა საჭიროდ სცნო მეტი ყურადღება მიეკცეს უმიწაწყლო გლეხობის მოწყობას. ვ. ვაჩნაძის აზრით, კომისიას მეტი ფული უნდა გადაეცეს. თავად-აზნაურობას აქვს თავისუფალი სამეურნეო თანხა 200,000 მანეთამდე. წესდებით შეგვიძლიან ამ ფულით ისეთი საკრედიტო დაწესებულება შევქმნათ, რომელიც საგლეხო ბანკისებურად უმიწაწყლო ხალხს დახმარებათ.

ჭალვა მესხიშვილმა პალიატივად სცნო კომისიის მოქმედება ისეთ დიდ საკითხში, როგორც

ტერიტორიის შენარჩუნებაა, ორატორის სიტყვით, უკვე დაიწყო მუშაობა უცხო ელემენტებისა ჩვენი მიწა-წყლის შესახებ. საგლეხო ბანკის მოქმედება ბურუსით არის მოცული და, რამდენადაც ვიცით, იგი არ უნდა ემსახურებოდეს ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესს. ყველა ამის გამო საჭიროა ქართველებმა შევქმნან ისეთი დაწესებულება, რომელიც ამ საქმეს მოჰკიდებს ხელს. ჩემის აზრით, უნდა დაარსდეს სპეციალური საგლეხო ბანკი. თუ როგორ უნდა მოეწყოს იგი, საღ შეიძლება ფულის შევნა—ამის შემუშავება უნდა დაევალოს საადგილმამულო კომისიას და მომავალში განსახილველად წარმოედგინოს საგანგებო კრებასათ.

გრძელი და საინტერესო სიტყვა წარმოსთქვა ბ-ნმა მიხეილ მაჩაბელშია. ორატორმა ოთხ საათამდე ილაპარაკა. მოკლე ანგარიშში შეუძლებელია ყველა იმის გაღმოცება, რაც ორატორმა განაცხადა. მაინც შემდეგ ნომერში მოკლედ გავაცნობთ მკითხველებს ორატორის სიტყვას.

(„აშირანი“)

### ზურნალ-გაზეთებიდან

~~X~~ შავის საჩიგარი ინგლისის მეფესთან. „დეილ ექსკრეს“-ი იუწყება, რომ შავი ტელეგრაფით საჩიგარი გაუგზავნა პირდპირ ინგლისის მეფეს ედუარდსათ. შავი უჩივის ინგლისის საელჩოს, ხალხს აღელვებს და აქტებსთ და დახმარებას სთხოვს მეფეს. მეფემ გარეშე საქმეთა მინისტრის გრძის საშუალებით უპასუხა დეპეშით შავსა, რომ თქვენი საჩიგარი დიპლომატიურ წესით უნდა იქნას განხილულიო.

შავი აღიდებს თავის ყაზახთა ბრიგადას; უნდა, რომ მისი რიცხვი 25 ათას კაცამდე აიყვანოს. ყაზახების შესანახად მოიხმარებენ ჩაი-შაქარზე დაწესებულ ახალ გადასახადის შემოსავალს.

უცხოეთის გაზეთები იუწყებიან: როცა მეჯლისს ზარბაზანი დაუშინეს, ზოგიერთმა სპარსელმა არტილერისტმა მტკიცე უარი სთქვა და არ გაისროლა ზარბაზანი.

ერთი განთავისუფლებული გამოჩენილი სასულიერო პირი ამბობს, რომ დატუსაღებულ რევოლუციონერებს საშინლად აწამებენო. რევოლუციონერი მალიკი მის თვალშინ ჩლუნგი დანებით

დაუკრიათ ასო-ასო და ხორცის ნაჭრები ძალებ-  
ბისთვის გადუყრიათ.

მეჯლისის თავმჯდომარე მოპკლეს ყაზახებმა  
და სთქვეს, ვითომ უცაბედად მოჰქვდა ტყვია.

თავრიზიდან იუწყებინ: „აქ ყველანი მეტად  
შეწუხებულნი არიან იმის გამო, რომ არ იციან,  
რა იქნენ თავრიზის დეკუტატები. მეჯლისში თავ-  
რიზის დეკუტატები მუდამ უკიურეს მემარცხენე  
პარტიაში ითვლებოდნენ. ხმა დადის, რომ თავრი-  
ზის დეკუტატები ყველაზე წინ დატუსაღეს, და  
ერთ მათგანს ნიჭიერ, მცევრმეტყველ ტაგი-ზაღეს  
შაჰი სიკვდილით დასჯა გადუწყვიტა და სასახ-  
ლეში ჩამოახრიბინაო“.

18 ივნისს საღამოთი მოსკოვში მიიღეს შემ-  
დეგი დეპეშა: „ყველა პროგრესილუი მინისტრები  
სამსახურიდან გადადგნენ. ახალი სამინისტრო შედ-  
გენილ იქმნება განსაკუთრებით რეაქციის წარმო-  
მადგენელთაგან. შაჰი საჩქაროდ დაიბარა ევრო-  
პიდან ძველი რეეიმის მომხრეები, რომლებიც წი-  
ნად მეჯლისის მოთხოვნით სპარსეთიდან იყვნენ  
განდევნილნი. ხალხს სრულებით არა სჯერა, რომ  
ახალი არჩევანი მოხდება. ყველანი მტკიცედ არიან  
დარწმუნებულნი, რომ მეჯლისი არასოდეს აღარ  
იქნება მოწვეულიო. როცა მეჯლისს ზარბაზანი  
დაუშინეს, ძლიერ დაზიანდა ძველი ისტორიული  
მექითი საპაი-ტალარი, ადერბეიჯანის ენჯუმენის  
შენობა და ბევრი კერძო სახლი. მეჯლისის შენო-  
ბა საძირკვლამდეა დანგრეული. რა იქნა მრავალი  
დოკუმენტი, რომელიც ინახებოდა მეჯლისის არ-  
ხივში, არ იციან. მეჯლისის ნანგრევებს დარაჯო-  
ბენ ყაზახები“. („რ.“).

„რუსეთი სლოვო“-ს საგანგებო კორესპონ-  
დენტი გაუგზავნია სპარსეთში. ეს კორესპონდენტი  
19 ივნისს ბაქოში ჩასულა და იქიდან იუწყება:  
„სპარსეთის საზღვრიდან მეტად ამაღლვებელი  
ცნობები მოდის, პროვინციებში ანარხია ძლიერ-  
დება. ადგილობრივი საკონსულო არა მაღავს,  
რომ მდგომარეობა სერიოზულია და იქნება უფრო  
საშინელი ამბებიც მოხდესო. ყოველ დღე გემებით  
მოდიან სპარსეთიდან გამოქავულნი, რომელნიც  
რუსეთის საზღვარზე ევროპულ ტანისამოსს იცმენ  
და ცდილობენ შეუნიშნად ჩუმად ევროპაში წასვ-  
ლას. იღწმუნებიან, რომ ბაქოზე გამოიარეს ენჯუ-  
მენების წევრებმა, რომლებსაც სპარსეთში მოკვ-


ლას უპირებდნენ. თეირანიდან მოსულ ვაჭრებს  
მე თვითონ ველაპარაკე. ისინი ამჟობენ, რომ შაჰი  
ვერასოდეს ველარ დაიბრუნებს ხალხის ნდობასთ.  
ხალხი გაბოროტებული და ოლშფოთებულია საში-  
ნელ ხარჯებით. მანიფესტმა ამნისტიაზე არავითარი  
შთაბეჭდილება არ მოახდინა ხალხზე. ხალხის მასა  
აღსდგა, აიშალა ირანის მბრძანებლის წინააღმდეგ.  
ამ წამს ბრძოლა მიმართულია ისე ახალ წესწყო-  
ბილების დასამკვიდრებლად არა, როგორც შაჰის  
პიროვნების წინააღმდეგ. მირჩევნ, რომ თეირანის  
გზაზე არ გამოვაჩინო ჩემი რუსობა. გუშინ სპარ-  
სეთში წავიდნენ ინგლისელი კორესპონდენტები,  
რომლებმაც თან მოიტანეს ავტომობილები. ენზე-  
ლიდან თეირანამდე ავტომობილებით წავლენ.  
სპარსეთის ამბებმა დიდი ზარალი მოუტანეს რუსის  
ვაჭრობას. სრულებით შეაჩერეს რუსის შაჰის,  
კეროსინის და სპირტის მოტანა“.

პეტერბურლის ვაჭრებმა 19 ივნისს ცნობა  
მიიღეს, რომ სპარსეთში შედარებით მშვიდობია-  
ნობა დამყარდა. თეირანში განახლდა აღებ-მიცე-  
მობა. გამოურკვეველი მდგომარეობაა მხოლოდ  
თავრიზში. იქ ტელეგრაფით შეეკითხნენ პეტერ-  
ბურგიდან, მაგრამ პასუხი არ მიიღეს. პფიქრობენ,  
რომ თავრიზში ტელეგრაფია გაწყვეტილიო. („რ. ვ.“)

გადაციის მთავარ-მართებლის მეგალის სი-  
ჩინსკის საქმე. დეპეშებიდან უკვე ვიცით, რომ  
ლვოვის სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადუწყ-  
ვიტა გალიციის მთავარმართებლის მკვლელს სტუ-  
დენტს სიჩინსკის. საქმის გარჩევის დროს სიჩინსკიშ  
გრძელი სიტყვა წარმოსთვე: მე არავისთან არა  
მქონია გამართული მოლაპარაკება მაგ საძმეზე,  
სხვისა მინდობილობით არ შიმოქმედნია და ამხა-  
ნაგად არავინ მყოლია, დიდხანს ვფიქრობდი გრაფ  
პატოციეს მოკვლაზე და უკვე ორი წლის წინად  
გადავწყვიტე. რომ მისი მოსპობა უეჭველად საჭი-  
რო იყო, რადგან იგი ყოველნაირ, კანონიერ, თუ  
უკანონო, საშუალებით სცდილობდა პოლონელ  
თავად-აზნაურობის ბატონობის გაძლიერებას. სი-  
ჩინსკიმ გაარჩია პატოციეს მოქმედება და ბრალსა  
სდებდა, რომ მან გამოიჩინა უდიერობა აგრარულ  
უწესობის ჩაქრობის დროს, რომ იგი არჩენების  
დროს ბოროტ-მოქმედებას სჩაღიოდა, იყო მტერი  
რუსინთა ერისა და საზოგადოდ ისე იქცეოდა გა-  
ლიციაში, როგორც ნამდვილი მტარვალი, სიჩი-

სკიმ სთქვა: „მე მენანებოდა ჩემი ახალგაზიდობა, რადგან კარგად ვიცოდი, რომ სიკვდილით დავის-ჯებოდი. მენანებოდა გრაფი პოტოციუ, რადგან პირიდად მისი მტრობა არა მქონდა. მე პირიდად პოტოცის მოკვლა კი არ მინოდა მე მინდოდა მთავარ-მართებლის უფლებით მოსილ კაცის მოკვლა“. მაგრამ სიჩინსკის მაინც და მაინც როდი ჰქონია სურვილი უთუოდ მოეკლა პოტოცი. მოკვდებოდა, თუ ცოცხალი დრაჩებოდა პოტოცი, ეს მისთვის სულ ერთი იყო, მას უნდოდა მხოლოდ უთუოდ დაეჭრა იგი. რომ ამით პოტოცესტი განეცხადებინა რუსინთა ერის შეწუხების წინააღმდეგ. სიჩინსკი როდია მტერი პოლონელ ერისა, მას სხულს მხოლოდ პოლონეთის არისტოკრატია და ეგონა, რომ პოტოცის მოკვლით იგი გამოიწვევდა რეჟიმის გამოცვლას გალიციაში. სიჩინსკი არა ნანობს, რომ ასე მოიქცა, და თუმცა მისი იდეალი სულაც არაა ბრძოლა მოკლულთა გვამების საშუალებით, მაგრამ მაინც საჭიროდ სთვლის უთხრას იმათ, ვინც გრაფ პოტოცის ადგილი დაიჭირეს, რომ თუ ისინი უკანონო საშვალებით დაიწყებენ ბრძოლას, მათაც იმნაირსავე საშუალებით უბასუხებენო.

სასამართლოს განაჩენი სიჩინსკიმ დინჯად, აღუშფოთებლად მოისმინა.



## აზალი ამბები და შენიშვნები.

\* \* \* სემინარიის ახალ შენობას ვერაზე (ვაკეზე სათავ.-აზნაურო გიმნაზიის იქით), „ზაქ“-ს სიტყვით, იქნეს სამხედრო უწყება. სასულიერო უწყებას აძლევენ 600,000 მანეთს. ამ შენობაში უნდა დაბინავდეს პლატფორმაზე პოლკი.

\* \* \* შეტრიზეარდნის კომისია 7 საათზე სასტუმროს ეზოში დასჭრეს ხანჯლით პეტერბურგის სამოსამართლო პალატის უფროსი თავსჯდომარე კრამენნიკოვი, რომელიც აქ პოლიტიკურ საქმეების განსახილველად მოვიდა. ბოროტ-განმზრახველი ვერ აღმოაჩინეს.


\* \* \* ოთხშაბათს, 18 ივნისს, სალამოს 8 საათზე დამოუწენებელი კრება ახლად დაარსებულ „განათლების“ საზოგადოებისა კრება მოხდა ქ-ნ 6. თუმანიშვილ შერეთლის თავმჯდომარეობით. ტფ. დეპუტატთა საკრებულო დარბაზში. დამსწ-

რეთ გაიცნეს დამტკიცებული წესდება ივ. რატიშვილმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ასეთი საგანმანათლებლო დაწესებულებანი უნდა შეუერთდნენ წ. კ. გ. საზოგადოებასათ. ძალები რომ არ დაიქ-საქსის, საჭიროა სწავლა აღზრდის საქმისთვის ერთს კულტურულ დაწესებულებაში მოვიყაროთ თავით. ამ აზრმა კამათი გამოიწვია, ალ. ჯავახიშვილმა დიდი მნიშვნელობა მისცა კერძო ინიციატივას სკოლების დაარსების საქმეში და გამოსთქვა, რომ ასე კერძოდ დაარსებული საზოგადოებანი ბოლოს მაინც შეერთდებიან და შევლენ წ. კ. გ. საზოგადოებაშით. დასასრულ მოხდა არჩევნები. გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ა. მ. თუმანიშვილი-წერეთლისა, გამგეობის წევრებად: ანნა იაკ. პავლიაშვილი, ნინო ბარათაშვილი, ალექსანდრა ფალავა, ნინო ერისთავისა, ვერა მიქა-ბერიძისა, ეკატერინე მესხისა. გამგეობის წევრთა კანდიდატებად მარიამ რატიშვილისა, ელენ ბარათაშვილისა და გიორგი ნატრაძე.

\* \* \* შორიპნის მაზრის უფროსის მიერ დაპატიმრებული სოფელ უბისის მცხოვრები არტიმოზ ჭავჭავაშვილი ტფილისში ჩამოყვანისას იცნეს 29 მაისს ტფილისში ერთ-ერთ დამოუწვევ თავდამცემთაგანად.

\* \* \* ტფ. სასულიერო სემინარია წელს სე. მინარია დაამთავრა სულ ექვსმა კაცმა. აქედან სამი რუსია, ერთი ბერძენი და ორი ქართველი—ე. ნიკოლაძე და ნ. ზირაქაშვილი. წინად სემინარიას 40—50 კაცი ამთავრებდა, აქედან უკველთვის სამ მეოთხედზე მეტს ქართველები შეადგენდენ ხოლმე.

\* \* \* სინოდალნი კანტორის განკარგულებით ცოტა ცვლილება მოხდა სამდვლელო და საპრიჩ-დნიკო აღრჩევის საქმეში მრევლთაგან. აღრჩევაზე უნდა დაესწრონ სამრევლოში. ადგილობით ბლა-ლობინი და პოლიციის ბოქაული და თვალ უური ადევნონ აღრჩევის საქმეში მამასახლისის მოქმედებას. დიდი რეფორმა სწორეთ.. ეს სწორეთ იმას გავს, რომ სასტიკი ავადმყოფობით შეპყრობილს მოუყვანონ ექიმი და იმას დაავალონ მხოლოდ უყუროს სნეულის ტანჯვა-წევლებას. თვით რეფორმა, რომელიც გამოითხვეს არა მკითხე „დელეგა-ტებმა“ არ ვარგა და ვინც უნდა დაესწროს იმათ საქმეს არა ეშველება რა. კენჭის ყრა თუ იქნება უნდა მოხდეს ისე როგორც ეს ნამდვილმა დელე-გატებმა დაადგინეს 1905 წელში დეკემბრის თვეში და რომელიც უკვე იციან ჩევნი ორგანოს მკითხველებმა...



# სწორი და მეცნიერება ქრისტიანობის სამართლებას და კეთილაზნებაზე.

მიზნი „ლევიტოლთა“

ებრაულს დაბადებაში მოსე წინასწარმეტყველის მესამე წიგნს ეწოდება „ვაჟერა“ — „და უწოდდა“ რაღანაც ამ სიტყვებით იწყება ეს წიგნი. ბერძნული სახელი ამ წიგნისა „ლევიტიკონ“ და ქართული (წიგნი) „ლევიტელთა“ ოღბულია მისი შინაარსიდან; ეს წიგნი შეიცავს წესებს, კანონებს ლევიტელთა თანამდებობის და მოვალეობის შესახებ.

დრო, ადგილი და მიზანი წიგნის დაწერისა. ლევიტელთა წიგნი დაწერილია სინას მთასთან, ეგვიპტიდან გამოსვლის მეორე წელიწადს; მიზანი ამ წიგნისა მღვმარეობს მასში, რომ დაცულიყო ურიათათვის წესები და კანონები მღვდელთა და ღვთის მსახურებისა.

გაუთვა წიგნისა. წიგნი ლევიტელთა შესდგება ოთხი ნაწილისაგან და დასკვნიდგან.

ნაწილი პირველი ოთ. I—VII

პირველს ნაწილში ოღბულილია წესები ებრაელთა ღვთის მსახურებისა; მათი ღვთის მსახურება შესდგებოდა სხვა და სხვა მსხვერპლთა შეწირვისაგან.

ყველა მსხვერპლთა შორის უმთავრესი იყო მხევრპლი მრგვლიად დასაწელები ანუ უფლიად დასაწელები. ყოვლად დასაწელელი შეიძლებოდა შეეწირათ მსხვილები ცხოველი მაგ. ხარი, წვრილფეხიც მაგ. კრავი, თიკანი, აგრეთვე ფრინველიც — მტრედის მართვე (ბარტყი) ან გვრიტი. სამსხვერპლო ცხოველი უთუოდ ხვადი უნდა ყოფილიყო და ამასთანავე უბიწო, უმანკო, საღი. თვით შეწირვა ხდებოდა ესრე: შეეწირველი მოიყნდა სამსხვერპლო ცხოველს კარვის კარებთან და თვითონ დაკლავდა; დაკლული ცხოველის სისხლს მღვდელი ასხურებდა საკურთხევლის გარშემო; გატყავების შემდეგ, სამსხვერპლო ცხოველს დასჭრიდნენ ნა-

წილნაწილად, გარეცხდნენ ნაწლევებიანად ერთად და ამ გვარად დასწვავლნენ საკურთხეველზე; ამავე წესით ხდებოდა ბატქნის, თიკინის და ცხვრის შეწირვაც თუ შესაწირვად მოქონდათ ფრინველი, მღვდელი მოჰკვეთდა თავს სისხლს დასწრეტდა საკურთხეველის კედელთან, წარკვეთდა მხრებს, ბუმბულს და ყრიდა საკურთხევლის აღმოსავლეთით, მოტეხება ფრთებს და დასწვავლა საკურთხეველზე, (თ. 1).

უსისხლით მსხვერპლი შესდგებოდა ფქვილისა, ზეთისა და საკმევლისაგან; სწირავლნენ აგრეთვე ზეთში მოზელილს და თონეში გამოცხობილს პურს, ლელანგოს და დაღრილის პურის მარცვლებს. როცა შემწირველი მოიტანდა შესაწირად უსისხლო მსხვერპლს, მღვდელი ერთს მუქა ფქვილს, ზეთიანი პურების ნატეხებს და მთლად შემოწირულს საკმელს დასწვამდა სამსხვერპლოზე, დანარჩენი ინახებოდა მღვდელთა სასარგებლოდ; შესაწირად გამოცხობილი პურები გაუღვივარები უნდა ყოფილიყვნენ. ყველა შესაწირავი, როგორც სისხლიან, ისე უსისხლოც უეპველად დამარილებული უნდა ყოფილიყო. (თ. 2).

ცხოველების მსხვერპლად შეიძლებოდა შეეწირათ ორთავე სქესის მსხვილ და წვრილფეხი ცხოველები, მხოლოდ უთუოდ უბიწო კი. შემწირველი თავზე ხელებს დაადებდა შესაწირავს ცხოველს, შემდეგ დაკლავდა კარვის კარებთან; სისხლს მღვდელი მოპურებდა საკურთხევლის გარშემო. სამსხვერპლოზე უნდა დაეწვათ მხოლოდ ცმელი (ქონი) ქუსტისა (ნაწლევებისა) მუცლისა ღვიძლი (ღვიძლის ყური) და თირკმლები; ყველა ცხოველები ცხოველების მსხვერპლად ერთი და იგიე წესით შეიწირებოდნენ, მხოლოდ ცხვრისა დუმაც იწვოდა სხვა ქონთან ერთად. საწოგადოდ აღკრძალული იყო ცმელის და სისხლის ჭამა. (თ. 3).

უკეთუ ვინმე ისრაილთაგანი შესკოდავდა ღმერთს უნებლიერთ, სისუსტის გამო, მაშინ მას უნდა შეეწირა მსხვერპლი ცოდვისათვის. თუ მღვდელთ მთავარმა შესკოდა უნებლიერთ, მაშინ მას უნდა შეეწირა მსხვერპლად უბიწო ხბო. მღვდელთ-მთავარს ხელები უნდა დაედო თავზე კარვის კარებწინ მოყვანილი ხბოსთვის და დაეკლა იგი. შეეროვალი სისხლით, ის უნდა შესულიყო „წმიდაში“, ჩაეწო სისხლში თითო და შვიდ გზის ეპკურებინა ეს სისხლი თითოთ კრეტსაბმელის წინ, ნაწილი სისხლისა ეცხო სამსხვერპლოს რქებისთვის და დანარჩენი დაეღვარა მის კედლებთან; საკურთხეველ-

ჟე უნდა დაეწვათ მხოლოდ ქონი ნაწლევებისა, ბარკლებისა, ღვიძლი და თირკმელები ქონიანათ; დანარჩენი ხორცი ხბოსი და ტყავი უნდა დაეწვათ ბანაკს გარეთ, სადაც იყრებოდა ნაცარი.

თუ შესცოდებდა მთელი ერი, მაშინაც ხმო უნდა შეეწირათ იმავე წესით, როგორც მღვდელთ-მთავარი, მხოლოდ თავზე ხელს დაადებდნენ მოხუ-ცებულნი ერისანი, იმავე წესით უნდა შეეწირა თხი, თუ შესცოდებდა მთავარი და, დედალი თხა ან დედალი ცხვარი, თუ შესცოდავდა უბრალო კაცი. (თ. 4).

უკეთუ ვინმე შეეხებოდა არაწმინდებას, მძრას, ნამხეცვს, მკვდარს, ქვეწარმავალს და სხვა ამგვარს, მას უნდა შეეწირა უფლისათვის დედალი ცხვარი, კრავი, გინა ვაცი თხისა; თუ ვერ შეეძლო ამის შეწირვა, მაშინ უნდა შეეწირნა ორი გვრიტი ან ორი მართვე ტრედისა, ერთი ყოვლად დასაწველად და ერთიც ცოდვისათვის. მღვდელი მიიღებდა იმ ფრინველს, რომელიც იყო შესაწირავი ცოდვისათ-ვის, მოკვეთდა თავს, სისხსლ აპკურებდა საკურთხეველს, დანარჩენს დაღვრიდა საკურთხეველთან; თუ სიღარიბის გამო შემწირველს არ შეეძლო გვ-რიტების ან მტრედების შეწირვა, მაშინ მას უნდა შეეწირა ფქვილი მეათედი ნაწილი სთველისა უზეთოდ; ამ ფქვილიდან ცოდვისათვის იწირებოდა მხოლოდ ერთი მუქი, დანარჩენით სარგებლობ-ნენ მღვდლები.

უკეთუ ვინმე შესცოდებდა დავიწყების გამო, თუ ამ შეცოდებით დაირღვეოდა მისი ვალდე-ბულება ღვთის შესახებ, მაგ. თუ დაავიწყდა დრო-ზე შეტანა მეათედისა ან პირველი მოსავლისა, მა-შინ ამ ცოდვის მოსანანებლად მას უნდა შეეწირნა მსხვერპლი ბრალისა. შეცოდებული მოიყვანდა მა-მალს ცხვარს (ვერას), მოიტანდა აგრეთვე დავიწ-ყებულს შესაწირავს, რომელიც მღვდელს უნდა შეეფასებინა ეს მსხვერპლი; ბრალეული გარდა დავიწყებული შესაწირავისა, იხდიდა კიდევ მისი ღირებულების მეხუთედს, ვერძი ბრალისთვის შეი-წირებოდა იმავე წესით. როგორც მსხვერპლი ცოდ-ვისათვის. მსხვერპლი ბრალისა შეიწირვებოდა მა-შინ, როცა ბრალეული არღვევდა თავისი ცოდვით კარვისა და მის მსახურთა უფლებას. (თ. 5).

ესევე მსხვერპლი ბრალისა შეიწირვოდა მაში-ნაც, როცა ვინმე მიაყენებდა ზარალს მოყვასს, მეზობელს, მაგ. მოპარავდა რასმე, დაფარავდა ნა-

პოვნს საკუთრებას მეზობლისას, ან უარს ეტყოდა მიბარებულის მიცებაზე. გარდა ვერცხლის შეწირ-ვისა მსხვერპლად. ბრალეული ვალდებული მოვა-ლე იყო დაებრუნებინა პატრონისათვის საკუთრება და კიდევ მეხუთედი ნაწილი მისი ღირებულებისა (თ. 6, 1—7).

მსხვერპლის შეწირვის საქმეს განაგებდნენ მღვ-დელთმავარი და მღვდლები; მღვდლები ვალდე-ბულნი იყვნენ ყური ეგდოთ, რომ ცეცხლი მარადის ებზნებოდეს საგურთხეველსა და არა დაშრტეს. მათ უნდა გაეწიმინდათ სამსხვერპლო საკურთხეველი წი-ნი დღით შეწირულ მსხვერპლთა ნაცრისგან, მოემ-ზადებინათ შეშა ახალი შესაწირავისთვის დასაწვე-ლად; უსისხლო მსხვერპლიდან მათ უნდა დაეწვათ მხოლოდ ერთი მუქა ფქვილი და ზეთი და მთლად გუნდრუკი, დანარჩენი უღვიარი გამოცხობილი პური თონეში, უნდა შეეჭამათ, როგორც დიდი სიწმიდე; ეს კანონი ეხებოდა ხალხისაგნ შეწი-რულს უსისხლო მსხვერპლს. მღვდელთაგან შეწი-რული კი მთლად უნდა დამწვარიყო საკურთხეველ-ზე. ხორცი ცოდვისათვის შეწირული ცხოველისა მთლად ეკუთვნოდა იმ მღვდელს, რომელმაც იმ დღეს აღასრულა მსხვერპლთ შეწირვის მღვდელ მოქმედება; ეს ხორცი მას უნდა შეეჭამა კარვის ეზოში. (6, „— 30). ბრალისთვის შეწირული ვერძის ხორციც მღვდელმოქმედების აღმასრულებელს ეკუთვნოდა, ისიც კარვის ეზოში უნდა ეჭამა; ყოვლად დასაწველი მსხვერპლისგან კი მასვე ეკუთვ-ნოდა მხოლოდ ტყავი, მასვე ეკუთვნოდა ამავე მსხვერპლიდან დარჩენილი ფქვილი, ზეთში მოზე-ლილი და თორნეში გამომცხვარი პურები. ცხო-ჯების მსხვერპლად გარდა ცხოველისა, უნდა მოე-ტანათ კიდევ ფქვილი, ზეთი და გაუღვიარი ცო-მისგან გამოცხობილი პურები შესაწირავად, შეიძ-ლებოდა გალვიებული პურის მოტანაც, მაგრამ მხოლოდ ხორცთან შესატანებლად, ერთი რომე-ლიმე ნაწილი ამისი იწირვებოდა მსხვერპლად, დანარჩენი კი ეძლეოდა მღვდელს. ხორცი დარჩე-ნილი ამ მსხვერპლიდან უნდა ეჭამათ იმავე დღეს; თუ ეს მსხვერპლი შეწირული იყო აღთქმით, ან ნებით, მაშინ მეორე დღესაც შეიძლებოდა მისი ჭამა, მესამე დღეს, თუ დარჩებოდა რამე, უთუოდ უნდა დაეწვათ. ამავე მსხვერპლიდან საზოგადოდ ყველა მღვდლებს ეძლეოდათ მკერდი, მარჯვენა ბეჭი კი მღვდელმოქმედების აღმასრულებელს. (თ. VII).

ზემო აღწერილიდან სჩანს, რომ ებრაელთა მსხვერპლები, მასალის მიხედვით, იყვნენ ორგვარნი — სისხლიანი და უსისხლო, ხოლო შინაგანი მნიშვნელობით კი განიყოფებოდნენ ოთხ სახედ: 1. მსხვერპლი უფლად დასაწეველი. ანუ მრგვლიად დასაწეველი, 2. მსხვერპლი საცხოვრებელი, 3. მსხვერპლი ცოდვისათვის და 4. მსხვერპლი ბრალისა. ამ მსხვერპლების მასალას შეადგენდნენ შინაური მსხვილ და წვრილფეხი ცხოველები, ორთავე სქესისა, ე. ი. ცხვრები, თხები, ძროხები, ხარები; მფრინველებიდან გვრიტები და მართვენი (ბარტყები) ტრედისანი. მსხვერპლად შესაწირავი ცხოველები და მფრინველები უნდა ყოფილიყვნენ უბიწონი და უმანკონი, უნაკლულონი, არა უმცირესი შვილი დღისა დაბადებიდან და არა უდიდესი სამი წლისა (ცხოველები). უსისხლო მსხვერპლად შეიწირებოდა ხორბალი ან ფქვილი ხორბლისა. შეიძლებოდა შეეწირათ ქრთილიც (შემოდგომაზე დათხესილი ქრი); უსისხლო მსხვერპლებთან ერთად მოჰქონდათ ზეთი და გუნდრუები; მარილი კი უთუოდ თან ახლდა, როგორც სისხლიან, ისე უსისხლო მსხვერპლს; გარდა იმისა, აღთქმის ქვეყანაში ყოფნის დროს ებრაელთ უნდა შეეწირათ დვინოფ (რიცხვთა 15, 1—5).

ცხოვლებით და პურით, რომლებიც იყვნენ უმთავრესი სამსხვერპლო მასალები, ებრაელნი სწირავდა ღმერთს ყოველსავე იმას, რაც აუცილებლად საჭირო იყო ცხოვრებისა და კეთილდღეობისათვის ქვეყანაზე. შემწირველი ამითი აღიარებდა სურვილს შეეწირა ღვთისათვის ყოველივე თვისი სიკეთე და ქონება და სიცოცხლე და მოედო მისგან სულიერი საზრდო, საუკუნო ნეტარება.

სისხლიან მსხვერპლთა შორის ყველაზე უმთავრესი იყო მსხვერპლი მრგვლიად დასაწეველი, ანუ უფლად დასაწეველი. ამ მსხვერპლად უნდა დაწულიყო მთელი ცხოველი ან მფრინველი; ეს მსხვერპლი ნიშნავდა სრულს მინდობას კაცისა ღვთისადმი სულით, ხორცით და ყოველი ძალით და სრულს შერიგებას ღვთისა და კაცს შორის აღთქმული თესლით; ამიტომ ყ-დ დასაწველ მსხვერპლად უნდა შეწირულიყო მხოლოდ მამრი სქესის ცხოველი. ეს მსხვერპლი ყველა მსხვერპლზე უმველესია და დაწესებულია ღვთისაგან სამოთხეში (დაბ. 3).

მსხვერპლი ცხოვრებისა იყო სამგვარი პ, საქებელი, რომელიც უნდა შეეწირათ დიდს დღესას-

წაულებში, ბ, ადგემითა, — როცა კაცი რაიმე წყალობას სიხლვდა ღმერთსა და ნებისმიერობას, — სამაღლობრების მიღებული მიღებული წყალობისათვის; ცხოვრების მსხვერპლად შეიწირებოდა ორთავე სქესის ცხოველები; რადგანაც ზოგიერთი ნაწილი ამ მსხვერპლად შეწირული ცხოველებისა ეძლეოდათ მღვდლებს და ლევიტელებს, ამიტომ ფიქრობენ, რომ ეს მსხვერპლი დაწესებულია ღვთისაგან ნოეს დროს, როცა ღმერთმა კაცს ხორცის ჭამის ნება დართო. მსხვერპლები ცოდვისათვის და ბრალისა დაწესებულ არიან მოსე წინასწარმეტყველის დროს განსაშემდეგლად სინას მთაზე მიღებული სჯულის წინააღმდეგ შეცოდებათაგან.

ზემო აღნიშნული მსხვერპლთა შეწირვა სრულდებოდა სხვა და სხვა წესებით, ეს წესები შემდეგია: ა, მოყვანა მსხვერპლად შესაწირავი ცხოველისა სამსხვერპლოსთან, ბ, ხელის დადება მის თავზე და გ, სხურება სისხლისა. ამ წესებს თავისი მნიშნელობა ჰქონდა. ცხოველის მოყვანით შემწირველი მთლად სწირავდა თავის თავს ღმერთსა; ცხოველის თავზე ხელის დადებით იგი გადასცემდა მაზედ იმ სარწმუნოებრივს გრძნობას და განწყობილებას, რომლებითაც თვითონ იყო მოცული იმ უამს, — სრული მინდობა ღვთისადმი, სინანული ცოდვებისა და მაღლობა ცოდვათა მიტევებისათვის. დაკვლა ცხოველისა ნიშნავდა სასიკვდილოდ განწირვას შემწირველის სიცოცხლისას; სისხლის სხურება ნიშნადა მსხვერპლის შემწირველის ცოდვათა განწმედას და ღმერთთან შერიგებას. სისხლი აღნიშნავდა სულს შემწირვებისას, ხორცი კი მისს ხორცის, ამიტომ ხორცის ცეცხლით დაწვა აღნიშნავდა ცოდვის გავლენის მოსპობას ცხოვრებაზე, სიკვდილის ძირიანად აღმოფხვრას და სულიწმიდის მაღლის ცეცხლით განწმელას ყოვლისავე ცოდვიანისა და განხრწნალისაგან.

(გაგრძელება იქნება).

## რედაქციისაგან.

მდ. ა. ჯანელიძეს. გაზეთი ყოველთვის გეგზავნებათ პოლიციის ბოქაულის სახელზე გადმოსაცემდ. უნდა მოიკითხოთ მასთან. ნუ თუ აქნობამდისინ არ შეგეძლოთ მოგეწერათ რომ გაზეთს არ იღებ ფოსტიდან?

ფილიშვილი  
მეცნიერებელი  
1908.

# სანატორიუმი

და

## საზღვრეულო სამეცნიერო

ექიმის კაზტარგ დ. ლამაშიძისა

„პატარა-ცემი“, ბათუმის რაიონის რაიონის გ. 14 აზ ე. 1908 წ.

საზღვრეულო  
მთის სადგური  
4400 ფუტის  
სიმაღლეზე.

„პატარა-ცემი“ მდებარეობს ბორჯომის ხელის მთის, თრიალეთის ქედის ერთ-ერთ კალთაზე, ბაკურიანის რკინის გზაზე, სადგურ ნიკოლავონია და საკოჭავს შეუა, მაღმობ ვაკეზე, 4400 ფუტის ანუ 1340 მეტრის სიმაღლეზე. 230 ფუტით მაღლია აბასთუმანზე).

**მიმღებიან:** ვინც არის ნაავადმყოფარი, სხვა და სხვა სწორებისაგან დალლილ-დასუსტებული, შეტაღრე ვისაც გამოვლილი აქვს განმეორებით: ინფლუენცია, ბრონქიტი, ფილტვის სხვა-და-სხვა ავადმყოფობა; ვინც მაღა-და-კარგულია, სისხლ-ნაკლები, ნერვებ-აშლილი, ჭაობის ციებით ანუ ტყირპის გადიდებით დასუსტებული; ვისაც სხეული დასძაბუნებია ჰაერის, სინათლისა და საზრდოს ნაკლებულობით, ან ცხოვრების შეუფერებელ პირობებით; სტომაქისა და ნაწლევების აშლილობით დასნეულებული, გონებით მოქანცულნი და საერთოდ ყველანი, ვისაც-კი სამკურნალო მეცნიერების რჩევით ესაჭიროება: ჰაერის გამოცვლა, დასვენება, სხეულის გამაგრება და ქალაქის მორიდება ცხელზაფხულის თვეებში.

**არ მიმღებიან:** მწოლიარე ავადმყოფნი, რომელიმე გადამდებ სენით შეპყრობილნი, ფილტვის სიჭრეებით დაავადმყოფებულნი, სულით ივალმყოფნი და არც ისინი, ვისაც რომელიმე მიზეზისა გამო მაღალ მთა-აღგილს ყოფნა სარგებლობას ვერ მოუტანს.

სამეცნიერო საშუალებად არის დასახული:

- 1) მთის წმინდა ჰაერი, მჩატე, გრიფი, ფიტვის სუნით შეზაფებული და უოდელ-გრან უსუფსაობას მოშორებული;
- 2) გრანებისა და სხეულის დასვენება, სრული მუყდრება, შეუ-გულ ტექში უთვისა, უსამოვნო ხმაშრობის მოშორებით;
- 3) უხვი საზრდოობა დფეში ხეთველ: სუზმე დიდის 8 ს., მეორე 10 ს., სადაც 1 ს., სამსარი 4 ს., განმაში 7 ს., 4) წევლით ექიმობა;
- 5) სხვა და სხვა გვარი შექცევა-თამაშები;
- 6) სამკურნალო გარჯიშები;
- 7) სახალისო და გასართობი სამუშაო და სხვა და სხვა სელ-საქმე, საადვილო და სეულისათვის მარგებელი თვითეულის აგებულებასთან შექმენელი;
- 8) ჯგუფებად სეირნობა და მოგზაურობა ახლო მიდამოებში, და სხ.

უოდელი ზემოხსნებული საშუალება შემოღებულია შეცნიერებისაგან დამტკიცებულ წესისამებრ და კერძოდ თვითგეგულის აგებულებასთან არის შეფარდებული, ექიმის მუდმივ სელმძღვნელობით.

დაწერილებით ცნობების შესატენისად მსურველთ უნდა მიმართონ ექიმს ვახტანგ დავითის ძეს დამბაშიძეს, მაისის 31-მდე ქალაქ თბილისი, შემდეგ-კი ბორჯობით, ჟაფარა-ცემის სანატორიუმში.

**მისასვლელი გზა:** ბორჯომიდან თრი საათის სავალზე, ბაკურიანის რკინის გზით, მე-25 ვენსზე სადგურ ნიკოლავოს შემდეგ საგუთარი ბაქენია: „დაბაშიძის ბაქენი“, (ქათარმა) სადაც უოდელი სასალის მატარებელი ჩერდება საკუთრად სანატორიუმისათვის. მატარებელის მიმღებლება ბორჯომიდგან ბაქენიანად და უკან—დღეში თრჯელ.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამბაშიძე, 30 ივნისი 1908 წ.

საზღვრეულო „მწყემსი“-ს რედაქციისა (დეკ. დ. ბ. ლამბაშიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.